ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2384908

ნომერი: AR1364928

თარიღი : 17.12.2015

გაცემის თარიღი : 13.01.2016

გაცნობის თარიღი : 21.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N15ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ზარიაშვილი პ/ნ 31001029513
- მცხეთა ს. მუხრანი

ორგანიზაცია:

- შპს "ლიდერ-ფუდი" კოდი: 406158045

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის პირველი სართულის ფასადის წინმდებარე ტერიტორიაზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის რეკონსტრუქციისა და ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა N15ა–ში შპს „გიორგი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 005/014) შენობის პირველი სართულის ფასადის წინმდებარე ტერიტორიაზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის რეკონსტრუქციისა და ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას .პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის(მოქ. დავით ზარიაშვილის განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015719506 საკადასტრო კოდი N 01.13.02.005.014, მესაკუთრის თანხმობა,მინდობილობა, ქირავნობის ხელშეკრულება, ესკიზური ნახაზები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, ლუბლიანას ქუჩა N15ა–ში შპს „გიორგი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 005/014) შენობის პირველი სართულის ფასადის წინმდებარე ტერიტორიაზე არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის რეკონსტრუქციისა და ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ,რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს,(კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დამუშავებული იქნას კონსტრუქციული სქემა, შესაბამისი დეტალიზაციით

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.